

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უზენაესი საბჭოს წევრთა ნაწილმა 2019 წელს ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციები არასრულად შეავსო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ თანამდებობის პირთა 20-ზე მეტი ქონებრივი დეკლარაცია შეისწავლა. შედეგად დეკლარაციების არასრულად შევსების 5 ფაქტი და კუთვნილი წილების სხვა პირებზე მინდობით გადაუცემლობის 2 ფაქტი გამოავლინა.

აღნიშნული გარემოებები წარმოადგენს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევას - კანონი თანამდებობის პირს ავალდებულებს, ქონებრივ დეკლარაციაში ასახოს როგორც საკუთარი, ასევე ოჯახის წევრების სამეწარმეო საქმიანობა. ამავე კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნის თანახმად, თანამდებობის პირი ვალდებულია სამსახურის გავლის ვადით სამართავად სხვას გადასცეს მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის სანარმოს კაპიტალის წილები.

## რუსლან აბაშიძე

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი



რუსლან აბაშიძემ ქონებრივი მდგომარეობის შესახებ [დეკლარაცია](#) 2019 წლის თებერვალში შეავსო - ამ დროს იგი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე იყო. დეკლარაციის შევსებამდე აბაშიძე ფლობდა წილებს 7 სხვადასხვა კომპანიაში, რომლებიც მან მართვის უფლებით მეუღლეს თამარ ჩხეიძეს გადასცა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია სრულად არ აქვს დეკლარაციაში ასახული.

ასევე, დეკლარაციაში არ არის მითითებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აბაშიძე ფლობს წილებს შემდეგ შპს-ებში:

- შპს „[პრაიმ ჰიდრო Prime Hydro](#)“ - 25% წილის მფლობელი (წილის მმართველი თამარ ჩხეიძე)
- შპს „[მურანო გეორგია ალიანს](#)“ - 60% წილის მფლობელი (წილის მმართველი თამარ ჩხეიძე)

რუსლან აბაშიძეს ასევე არ აქვს დეკლარირებული, რომ მისი მეუღლე თამარ ჩხეიძე ფლობს წილებს და არის დირექტორი შემდეგ კომპანიებში:

- შპს „[ჯი ეს ეი კონსალტინგი](#)“ - 33.4% წილის მფლობელი და დირექტორი
- შპს „[ბლუმს ჯორჯია](#)“ - 50% წილის მფლობელი
- შპს „[Micabella cosmetics](#)“ - 50% წილის მფლობელი და დირექტორი
- შპს „[თბილისის მოდის კვირეული](#)“ - 45% წილის მფლობელი
- შპს „[ბრეივ მოდელს ჯორჯია](#)“ - დირექტორი

გარდა ზემოაღნიშნულისა, თამარ ჩხეიძე „[საქართველოს დემოკრატიული აღორძინების ფონდის](#)“ გამგეობის [წევრია](#), ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს [ხელმძღვანელი](#) კი ბიზნესმენი [ლევან ვასაძეა](#).

ამ ფონდისგან მცხეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებმა 2013-2016 წლებში, გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით, 9 500 ლირებულების მომსახურება [შეისყიდეს](#).

რუსლან აბაშიძემ პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილის 2018 წლის 28 სექტემბერს 59 958 ლარი [შესწირა](#), ამავე დღეს სალომე ზურაბიშვილს 6 000 ლარი [შესწირა](#) აბაშიძის მეუღლემ, თამარ ჩხეიძემაც.

## ქეთევან ბაკარაძე

აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი



ქეთევან ბაკარაძეს 2019 წლის თებერვალში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული, რომ მისი მეუღლე აკაკი ჩარგვიშვილი ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

- შპს „[ვაითმედ](#)“ - 15% წილის მფლობელი და დირექტორი
- შპს „[თლლ პეი](#)“ - 100% წილის მფლობელი
- შპს „[ჯი ბი ესი](#)“ - 25% წილის მფლობელი

## თამაზ ხუბუა

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე



თამაზ ხუბუას 2019 წლის აპრილში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული, რომ მისი მეუღლე დალილა ხორავა არის:

- შპს „[ნარჩენების უტილიზაციის კომპანიის](#)“ 50% წილის მფლობელი და დირექტორი
- შპს „[AMBRA-GEORGIA](#)“-ს 33% წილის მფლობელი

## რუდიკ საბაძა

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრი



რუდიკ საბაძას 2019 წლის აპრილში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს აღნიშნული, რომ იგი არის შპს „[B bedia 777](#)“-ის 33% წილის მფლობელი. ასევე, რუდიკ საბაძას არ აქვს დეკლარირებული, რომ მისი შვილი, კახაბერ საბაძა არის შპს „[კატის](#)“ 100% წილის მფლობელი და დირექტორი.

## მურმან კვარაცხელია

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



მურმან კვარაცხელიას 2019 წლის მაისში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული, რომ ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

- შპს „[საბათრეველი](#)“ - 100% წილის მფლობელი. კომპანიის დირექტორია მისი შვილი, ზვიად კვარაცხელია. დეკლარაციაში არც ეს ინფორმაციაა მითითებული
- შპს „[კავკასიური ჰუმანიტარული უნივერსიტეტი](#)“ - 60% წილის მფლობელი
- შპს „[თბილისის კავკასიური საზოგადოებრივი კოლეჯი](#)“ - 49% წილის მფლობელი (შპს-ს 51% წილის მფლობელი და დირექტორი მისი შვილი ზვიად კვარაცხელიაა, რაც ასევე არ არის დეკლარირებული)

თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების შემოწმების საკითხი კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, [შესაბამისად](#), „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ მიმართავს საჯარო სამსახურის ბიუროს წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეისწავლოს კვლევაში აღნიშნული პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.